ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01180363752**
თარიღი: **05/02/2018**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის

სამსახურის უფროსის პირველ მოადგილეს

(ურბანული დაგეგმარების საკითხებში)

ქალაბატონ გვანცა ნიკოლაიშვილს

ქალბატონო გვანცა,

თქვენი 2018 წლის 25 იანვრის N60-01180252439 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში შემოსული ელექტრონული განცხადებებს, თბილისის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების განხორციელების და განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე, გაცნობებთ:

1. ქ. თბილისში, კოსმონავტების სანაპირო N39-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.189; AR1566094) არსებულ გაზგასამართ სადგურზე დამატებით თხევადი გაზის გასამართი სადგურის მოსაწყობად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხთან დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ საწვავგასამართი სადგურისათვის დამატებითი ფუნქციის შეძენით გაიზრდება სატრანსპორტო საშუალებების ინტენსივობა, რაც უარყოფითად აისახება და დამატებით შეფერხებებს გამოიწვევს მითითებულ ტერიტორიაზე. ავტოგასამართი სადგურიდან გამოსული მანქანა შეაფერხებს სანაპიროზე მოძრავ სატრანსპორტო ნაკადს. შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს მიზანშეუწონლად მიაჩნია საწვავგასამართი სადგურისათვის ფუნქციის დამატება.

2. "საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის (მუხლი 22 პუნქტი 1. ქვეპუნქტი თ-ს) თანახმად „ხიდების ბურჯებთან ნავების ან სხვა სანაოსნო საშუალებათა მიდგომა, გზაგამტარების, ესტაკადებისა და ხიდების ქვეშ

სადგომის, გასასვლელების, აგრეთვე ნავების სადგურებისა და სხვა რაიმე ნაგებობების მოწყობა“ აკრძალულია. გარდა ამისა, აღნიშნული კონსტრუქცია კეტავს ტროტუარის სავალ ნაწილს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში მიიჩნევს, რომ ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ფერდობი N10 (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.091; AR1566350) არსებულ გაზგასამართ სადგურზე დამატებით თხევადი გაზის გასამართი სადგურის მოსაწყობად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებაზე თანხმობის მიცემა მიზანშეწონილი არ არის.

3. აღნიშნული მონაკვეთი დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში გაჯერებულია სატრანსპორტო ნაკადებით. ავტოგასამართი სადგურიდან გამოსული მანქანა შეაფერხებს სანაპიროზე მოძრავ სატრანსპორტო ნაკადს. მოსალოდნელია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ზრდა.

გარდა ამისა, დამატებითი ფუნქციების გაჩენა საქვეითე და საზ. ტრანსპორტისთვის რთულად მისადგომ არეალებში იწვევს მანქანის გამოყენების ზრდას, რაც ეწინააღმდეგება ქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკას და მდგრადი განვითარების პრინციპს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში მიიჩნევს, რომ ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სანაპიროს ქუჩა # 6 -ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.15.04.004.046; AR1565972) მრავალფუნქციური ობიექტის დასაპროექტებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებზე თანხმობის მიცემა მიზანშეწონილი არ არის.

4. აღნიშნული ობიექტი მდებარეობს თბილისი-რუსთავის მაგისტრალურ გზაზე. გათვალისწინებულია დამატებითი წერტილების მოწყობა, რაც დამატებითი მანქანების მოზიდვის წყარო გახდება. ობიექტის მიმდებარედ მაგისტრალს არ გააჩნია შენელების და აჩქარების ზოლები.

შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში მიიჩნევს, რომ აჩქარების და შენელების ზოლების მოწყობამდე ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.005.086; AR1516219) ბენზინგასამართი სადგურისა და მისი დამხმარე შენობა ნაგებობების და ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.005.059; AR1534509) ავტოგასამართი (ბენზინის და გაზის) სადგურის დასაპროექტებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობაზე თანხმობის მიცემა მიზანშეწონილი არ არის.

5. ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქუჩა N3 / ვ. ნინუას ქუჩა N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.199; AR1558312) დამტკიცებულ მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების

განხორციელების საკითხზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პოზიციის დასაფიქსირებლად საჭიროა მოძრაობის ორგანიზების სქემის წარმოდგენა ტროტუარის და სავალი ნაწილის პარამეტრების და პარკირების ადგილების მითითებით.

6. ქ. თბილისში, ფიროსმანის ქუჩასა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების მოთხოვნით შემოსული წინადადების (AR1549350) განხილვისათვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური საჭიროებს მოძრაობის ორგანიზების ცვლილების გათვალისიწინებით არსებული სატრანსპორტო ნაკადების დათვლა და სამომავლო ნაკადების სიმულაციის წარმოდგენა პროექტით გათვალისწინებული ახალი ფუნქციების გაჩენით გამოწვეული დამატებითი ნაკადების და საზ. ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტის ცვლილების გათვალისწინებით. ავღნიშნავთ, რომ ფიროსმანის ქუჩაზე ამჟამად მოძრაობს M2 კატეგორიის 7 მარშრუტი და 39 მანქანის შემადგენლობით.

პატივისცემით,

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) მამუკა მუმლაძე